ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1625229

ნომერი: AR1266899

თარიღი : 19.11.2014

გაცემის თარიღი : 03.12.2014

გაცნობის თარიღი : 03.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანუჩარ ჭუმბურიძე პ/ნ 54001005770
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი AR1266899 განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, შარტავას ქ. #39 შ.პ.ს. "ინდეკო"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.13.015.078) სამსახურის მიერ 2013 წლის 18ნოემბრის #1009535 ბრძანებით შეთანხმებულია
მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის

ნებართვა.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე
უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ # AR1176480 განაცხადის ნომერი.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და
უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მათი ოფიციალური წესით გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
